Erasmus+

სტუ-ს თანამშრომელთა მობილობა ტრეინინგის მიზნით, ბეირა ინტერიორის უნივერსიტეტში

2022 წლის 23 - 27 მაისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლები - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფ. ანა კობიაშვილი, საგამოცდო და ელექტრონული სასწავლო რესურსების ცენტრის ხელმძღვანელი პროფ. თალიკო ჟვანია და საგამოცდო პროცესებისა და სწავლების ელექტრონული სისტემების განყოფილების უფროსი, ასოც. პროფ. თამარ კუპრეიშვილი Erasmus+ გაცვლითი პროექტის ფარგლებში, ადმინისტრაციული პერსონალის ტრეინინგის მიზნით, მობილობით იმყოფებოდნენ ბეირა ინტერიორის უნივერსიტეტში (Universidade da Beira Interior – UBI) (კოვილა, პორტუგალია).

UBI მდებარეობს ქალაქ კოვილაში და დაარსებულია 1979 წელს. უნივერსიტეტის სახელი უკავშირდება ისტორიულ ბეირას რეგიონს, რომელიც ცნობილი იყო მატყლისა და შალის წარმოებით, რაც აისახა უნივერსიტეტის კურიკულუმებში და მათი საუნივერსიტეტო მუზეუმის სიამაყეს წარმოადგენს.

ამჟამად კოვილას მოსახლეობა შეადგენს 45000-ს, რომელთაგან 10000 ბეირას უნივერსიტეტის სტუდენტია. უნივერსიტეტს აქვს სწავლების სამივე ფორმა და ისწავლება სამედიცინო მეცნიერებები, ბიოსამედიცინო მეცნიერებები, მათემატიკა, ფიზიკა, ინფორმატიკა, სამშენებლო საქმე, სოციალური მეცნიერებები, ხელოვნება.
საერთაშორისო დეპარტამენტის თანამშრომელმა ჯოანა ფერნანდესმა ქართველ კოლეგებს თბილი მიღება მოუწყო, გააცნო მობილობის პროგრამის სამუშაო განრიგი, ესაუბრა ბეირას უნივერსიტეტსა და თვით ქალაქ კოვილაზე. ასევე, მისცა რჩევები უნივერსიტეტისა და ქალაქის უკეთ გასაცნობად.

მობილობის ფარგლებში პირველი საქმიანი შეხვედრა შედგა სამედიცინო ფაკულტეტის ონლაინ საგამოცდო ჯგუფთან, დოქტორ რუი კოსტას (Rui Pedro Costa) ხელმძღვანელობით. ფაკულტეტი უკვე მრავალი წელია იყენებს ონლაინ საგამოცდო სისტემას. ამიტომ ისინი ადვილად გაუმკლავდნენ კოვიდ-19-ის გამოწვევებს. მათ უნივერსიტეტში შემუშავებული პლატფორმა ამცირებს გამოცდების მომზადების დროს პროფესორებისათვის, უზრუნველყოფს უფრო სამართლიან შეფასებებს და ახდენს ფსიქომეტრიკულ ვალიდაციას ავტომატურად. ამასთან, ხდება საგამოცდო შედეგების სტატისტიკური დამუშავება და მათი ანალიზი. პორტუგალიელებმა ქართველ კოლეგებს წარმოუდგინეს ფაკულტეტის საგამოცდო ცენტრი, მისი სტრუქტურა, სასწავლო და საგამოცდო პლატფორმები. ასევე, დაათვალიერებინეს საგამოცდო დარბაზები. სამედიცინო ფაკულტეტს ქონდა 3 საგამოცდო დარბაზი (მაქსიმუმ 300 ადგილი).

ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებმა ისაუბრეს სტუ-ში დანერგილ საგამოცდო სისტემაზე. საუბარი იყო უაღრესად კონსტრუქციული. ორივე მხარე ინტერესდებოდა მეორე მხარის გამოცდილებით და განხილული იყო დისტანციური სწავლებისა და ელექტრონული საგამოცდო ცენტრის მუშაობის მრავალი დეტალი.

მეორე შეხვედრა შედგა კომპიუტერული მეცნიერების დეპარტამენტის პროფესორთან დოქტორ მარიო ფრეირესთან. მისი კვლევების სფეროა კომპიუტერული სისტემები და ქსელები, ინფრასტრუქტურული ვიზუალიზაცია, ღრუბლოვანი სისტემები, კიბერუსაფრთხოება.

დოქტორმა მარიო ფრეირემ სტუმრებს ტექნიკური უნივერსიტეტიდან დაათვალიერებინა კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის სალექციო და ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკა, მოუთხრო სტუდენტურ აქტივობებზე. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა წიგნების ჯიხურები, სადაც შესაძლებელია ლიტერატურის ონლაინ შეკვეთა და გარკვეული დროის შემდეგ სტუდენტი მიდის ჯიხურში და იღებს შეკვეთილ წიგნს ბიბლიოთეკურ რეჟიმში.

დოქტორ მარიო ფრეირეს ორგანიზებით, ასევე, ჩატარდა ტრეინინგი ღრუბლოვან ტექნოლოგიებში, სადაც მან ისაუბრა მისი მრავალწლიანი გამოცდილების შესახებ, ხოლო სტუ-ს წარმომადგენლებმა - ჩვენს უნივერსიტეტში ამ მიმართულებით არსებული სწავლების პროცესის შესახებ.

მობილობის პროგრამა ითვალისწინებდა კულტურულ-საგანმანათლებლო ნაწილსაც, რომლის ფარგლებშიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეთვალიერებინათ ბეირა ინტერიორის უნივერსიტეტის მატყლის მუზეუმი (Museu de Lanifícios da Universidade da Beira Interior / Real Fábrica Veiga); მოენახულებინათ ქალაქ კოვილას ისტორიული ადგილები; კოვილას მუზეუმი (Museu da Covilhã); კოვილას ახლოს მდებარე ქალაქი კაშტელო ბრანკო, რომელიც ითვლება პორტუგალიის გულად. ქალაქი ძალიან ლამაზია ძველი კათოლიკური ტაძრებით და შესანიშნავი პარკით.

ვიზიტის ბოლო ორი დღე დაეთმო პორტუგალიის დედაქალაქის ლისაბონის და ლისაბონთან ახლოს მდებარე ულამაზეს ქალაქ სინტრას დათვალიერებას. აღსანიშნავია, რომ სინტრაში მდებარეობს ევროპის უკიდურესი დასავლეთ წერტილი. ქართველმა მეცნიერებმა დავათვალიერეს სინტრასა და პენის სასახლეები, მავრების ციხე-სიმაგრე და კაპუცინების მონასტერი. მათზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა თვითონ ქალაქმა, მისი წითელი კრამიტის სახურავებით, ვიწრო ქუჩებით, ძველებური ტრამვაით, უცნაური აღმართ-დაღმართებითა და ატლანტის ოკეანით.

შეხვედრა საერთაშორისო ურთიერთობათა ოფისში

ბეირა ინტერიერის უნივერსიტეტი

ჯიხური-ბიბლიოთეკა

შეხვედრა სამედიცინო ფაკულტეტზე დოქტორ რუი კოსტასთან

უნივერსიტეტის შესასვლელი

ბეირა ინტერიერის უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი

უნივერსიტეტის ჰოლში

საერთაშორისო ურთიერთობათა ოფისში

შეხვედრა დოქტორ მარიო ფრეირესთან კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტში